საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები
2020
I კვარტალი

04.06.2020

www.geostat.ge

04.06.2020

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2020 წლის I კვარტალი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2020 წლის I კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13.5 პროცენტით გაიზარდა და 26.0 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2020 წლის I კვარტალში მისი მოცულობა 10.3 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 8.4 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობის ცვლილება კვარტლების მიხედვით



2020 წლის I კვარტალში მთლიანი ბრუნვის 60.0 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 16.6 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 23.4 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 44.3 პროცენტი, საშუალოზე - 24.4 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 31.3 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2020 წლის I კვარტალი



საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2020 წლის I კვარტალში 15.2 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.7 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 9.5 მლრდ. ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7.3 პროცენტით მეტი).

2020 წლის I კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 684.4 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 3.1 პროცენტით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 41.8 პროცენტი ქალია, ხოლო 58.2 პროცენტი - კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა კვარტლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 39.9 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 20.7 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 39.4 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 640.5 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - 3.4 პროცენტით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 2 408.4 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10.3 პროცენტით მეტი).

2020 წლის I კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 227.0 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 75.2 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 957.5 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 23.3 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – **1 293.7 ლარი**
- საშუალო ბიზნესი – **1 404.9 ლარი**
- მცირე ბიზნესი – **1 035.2 ლარი.**

04.06.2020

2020 წლის I კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 37.6 პროცენტი მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 27.8 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 8.9 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 5.8 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 5.4 პროცენტიანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 4.0 პროცენტიანი წილით, ხოლო დარჩენილი 10.5 პროცენტი კი სხვა დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა

2020 წელი I კვარტალი



04.06.2020

2020 წლის I კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (21.6 პროცენტი) და ვაჭრობა (16.9 პროცენტი), შემდეგ მოდის მშენებლობა (15.7 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 9.6 პროცენტიანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 36.2 პროცენტიანი წილი უჭირავს:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა
2020 წელი I კვარტალი



04.06.2020

2020 წლის I კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 27.4 პროცენტი, 12.4 პროცენტი და 10.5 პროცენტიანი წილებით). თუმცა სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის მშენებლობის (8.6 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.3 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის საწარმოებზეც (5.6 პროცენტი):

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა
2020 წლის I კვარტალი



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



04.06.2020

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვალებადობა 2020 წლის I კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2019 წლის I კვარტალი	2020 წლის I კვარტალი	2020 წლის I კვარტლის ზრდის ტემპი 2019 წლის I კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**22 923.2**	**26 015.2**	**113.5**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	103.1	138.2	134.1
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	159.5	208.4	130.7
დამამუშავებელი მრეწველობა	2 078.1	2 318.9	111.6
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	995.0	1 031.8	103.7
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	63.7	63.8	100.2
მშენებლობა	1 310.7	1 505.8	114.9
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	9 125.1	9 774.5	107.1
ტრანსპორტი და დასაწყობება	1 306.9	1 403.8	107.4
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	431.1	437.5	101.5
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	178.0	180.6	101.5
საკვებით და სასმელებით მომსახურება	253.0	256.9	101.5
ინფორმაცია და კომუნიკაცია	425.5	446.5	104.9
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	336.8	367.9	109.2
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	388.4	330.0	85.0
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	276.0	291.4	105.6
განათლება	111.1	119.6	107.6
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	288.1	301.8	104.7
ხელოვნება, გართობა და დასვენება	5 487.8	7 236.9	131.9
სხვა სახის მომსახურება	36.3	38.3	105.6

04.06.2020

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვალებადობას 2020 წლის I კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2019 წლის I კვარტალი	2020 წლის I კვარტალი	2020 წლის I კვარტლის ზრდის ტემპი 2019 წლის I კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**9 471.4**	**10 269.2**	**108.4**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	111.4	135.0	121.2
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	161.1	208.2	129.2
დამამუშავებელი მრეწველობა	2 023.0	2 214.6	109.5
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	447.3	435.3	97.3
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	71.4	72.0	100.8
მშენებლობა	1 394.0	1 615.8	115.9
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	1 629.3	1 737.5	106.6
ტრანსპორტი და დასაწყობება	932.8	989.2	106.0
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	431.2	440.2	102.1
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	178.5	184.0	103.1
საკვებით და სასმელებით მომსახურება	252.7	256.2	101.4
ინფორმაცია და კომუნიკაცია	392.8	413.7	105.3
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	337.2	370.4	109.9
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	341.9	298.7	87.4
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	199.5	210.6	105.6
განათლება	115.5	125.3	108.4
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	481.7	519.2	107.8
ხელოვნება, გართობა და დასვენება	365.8	445.8	121.9
სხვა სახის მომსახურება	35.3	37.5	106.0

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვალებადობა 2020 წლის I კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE REV. 2	2019 წლის I კვარტალი	2020 წლის I კვარტალი	2020 წლის I კვარტლის ზრდის ტემპი 2019 წლის I კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**663 804**	**684 372**	**103.1**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	11 010	11 094	100.8
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	8 359	8 105	97.0
დამამუშავებელი მრეწველობა	83 813	84 996	101.4
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	14 876	15 443	103.8
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14 213	14 267	100.4
მშენებლობა	59 662	59 160	99.2
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	176 898	187 369	105.9
ტრანსპორტი და დასაწყობება	55 060	56 764	103.1
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	37 144	38 661	104.1
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	14 265	15 484	108.5
საკვებით და სასმელებით მომსახურება	22 879	23 177	101.3
ინფორმაცია და კომუნიკაცია	21 336	24 260	113.7
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	18 742	19 195	102.4
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	22 388	22 223	99.3
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	22 282	22 393	100.5
განათლება	24 111	24 280	100.7
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	70 140	71 979	102.6
ხელოვნება, გართობა და დასვენება	15 517	15 898	102.5
სხვა სახის მომსახურება	8 254	8 286	100.4

რეგიონების მიხედვით **მთლიან ბრუნვაში** ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 77.5 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 5.7 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 4.9 პროცენტი,
- იმერეთი – 3.6 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.9 პროცენტი.

რეგიონების მიხედვით პროდუქციის **მთლიან გამოშვებაში** ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 63.4 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 8.7 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 8.7 პროცენტი,
- იმერეთი – 5.9 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.5 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას (მლნ. ლარი):



რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 64.0 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 10.0 პროცენტი,
- იმერეთი – 6.9 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 5.6 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.0 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:

- საქმიანობის სექტორები K, O, T, U
- 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)

2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:

- ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
- ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2. შპს „საქართველოს ფოსტა“
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
4. სს „სილქნეტი“
5. სს „საქართველოს რკინიგზა“
6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
7. სს „საქენერგორემონტი“
8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია** (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2) სექციების დასახელებები

A	„სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
I	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება, გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

წყარო: საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური)

საკონტაქტო პირები:
დავით კუპატაძე ტელ: 2 36 72 10 (200) E-mail: dkupatadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი ტელ: 2 36 72 10 (020) E-mail: mkavelashvili@geostat.ge